

საზოგადოება / საქართველო

გარემოს დამცველები: "არა" დიდ ჰესებს!

ბეჭდვა კომენტარი (4) გაუზიარეთ:



ამ ავტორის სხვა სტატიები:

პრემიერის ულტიმატუმი თუ მოქმედება დასწრებაზე?

გიგი უგულავა ისევ მერია და გირაოსაც არ გადაიხდის

სასამართლოს ფოტო-ვიდეოკამერები დააკვირდებიან

„ნაციონალური მოძრაობა“ პარტნიორებს მიტინგზე ეპატიჟება

ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი დაიწყო

[მეტი სტატია](#)

ყველაზე პოპულარული

ყველაზე ხშირად წაკითხული

1. თვალის ახელა, როგორც გამარჯვების პირობა
2. დოსტოევსკი, უზომოდ
3. კოპიტაძის და „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრული საქართველოში
4. არა ოკუპაციას!
5. ჩემი თავისუფლება

ყველაზე ხშირად კომენტირებული

ყველაზე ხშირად მოსმენილი

ავტორი ნინო ხარაძე
11.02.2012

ტექსტის ზომა

Tweet 0

რეკომენდებული 17 გაგზავნა

0

Pin it

ამავე თემაზე

გაიმართა ხუდონჰესის პროექტის საჯარო განხილვა

ხუდონჰესი, დასატბორი ხაიში და გაურკვევლობაში მყოფი ხაიშელები

მულტიმედია

აუდიო

გარემოსდამცველები: "არა დიდ ჰესებს"

[მოსმინეთ](#) [პლელისტი](#)

"არა" - დიდ ჰესებს! - ამ ლოზუნგით გარემოს დამცველები საქართველოში დაგეგმილი 15 ჰესის მშენებლობის შეჩერებას მოითხოვენ. საჯარო დისკუსია ამ თემაზე 11 თებერვალს, "კინოს სახლში" გაიმართა. დისკუსიაში, სხვადასხვა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გარდა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დისკუსიის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ "მწვანე ალტერნატივისა" და "კავკასიური სახლის" მიერ ერთობლივად გადაღებული ფილმი ენახათ, რომელიც ხუდონჰესის მშენებლობას შეეხებოდა, ფილმში საუბარი იყო იმაზე, რომ ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში 27 სოფელს წყალი დაფარავს.

"15 ახალი ჰესი იმისათვის, რომ აღარასდროს დაგზრუნდეთ წარსულში" - ამ სიტყვებით

სრულდება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სარეკლამო რგოლი, რომელიც სატელევიზიო ეთერში ტრიალებს.

ხელისუფლების ეს ამბიციური გეგმა ბევრ კითხვას უჩენს გარემოს დამცველებს და ისინი რამდენიმე მთავარ მიზეზს ასახელებენ, რატომაც ამბობენ უარს დიდ კაშხლებზე: წყლის ქვეშ აღმოჩნდება ათასობით ჰექტარი ტყის მასივი, სოფლები; ათასობით ადამიანს მოუწევს საკუთარი სახლ-კარის დატოვება; განადგურდება ფლორისა და ფაუნის უმნიშვნელოვანესი სახეობები, შეიცვლება მიკროკლიმატი... ასევე, არ შემცირდება მოხმარებული ელექტროენერჯის ტარიფი და ხელი არ

შეეწყობა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. მხოლოდ ხუდონჰესის მაგალითზე საუბრისას ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი, ჰესის მშენებელ კომპანია Trans Electrica Limited-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმზე დაყრდნობით, ამბობს, რომ ამ ხელშეკრულებით საქართველო სარგებლის მაგივრად ვალდებულებებს იღებს:

დარიალის ჰესის მშენებლობა დაიწყო სექტემბრის ბოლოს, როცა მათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ ჰქონდათ ...

ქეთევან ქოჩლაძე

" სახელმწიფო ამ კომპანიებს გაყიდული ელექტროენერგიიდან არ სთხოვს არც წილს, არც ბონუსს, არც როიალტის, არ სთხოვს არც შეღავათიანი ტარიფით ამ ელექტროენერგიის საქართველოში დატოვებას. ერთადერთი პირობა, რაც ინვესტორს უდევს, არის ის, რომ პირველი 10 წლის განმავლობაში საქართველოს

ენერგოსისტემას ზამთრის სამი თვის მანძილზე მოეწოდოს ამ ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მინიმალურ ტარიფად - 5, 84 ამერიკულ ცენტად, მაქსიმალური ტარიფი კი არ უნდა აღემატებოდეს იმ დროისთვის და იმ მომენტისთვის თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ ტარიფს",- ამბობს დავით ჭიპაშვილი.

"მწვანე ალტერნატივის" თავმჯდომარე ქეთევან ქოჩლაძე კი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ჰესების მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე იწყება, რამაც შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს:

"დარიალის ჰესის მშენებლობა დაიწყო სექტემბრის ბოლოს, როცა მათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ ჰქონდათ. ჩვენ მაშინვე მივმართეთ გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებს და მოვითხოვეთ, რომ ამ საკითხზე გამოძიება დაეწყოთ. ამის ნაცვლად, მათ 26 ნოემბერს გასცეს გარემოზე ზემოქმედების დასკვნა და 2 თვის შემდეგ ჩვენ წერილი მოგვწერეს, რას ერჩით ამ პატიოსან ხალხს, ყველაფერი წესრიგში აქვთო, ანუ თუ ეს არის კანონის დაცვა, მე არ ვიცი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის კანონის უხეში დარღვევა, რასაც ორივე სამინისტრო ერთად ახორციელებდა."

ამის გამო "მწვანე ალტერნატივას" სასამართლოშიც აქვს სარჩელი შეტანილი.



დღევანდელ საჯარო დისკუსიაზე კიდევ ერთ ფაქტს გაესვა ხაზი, რომ ხელისუფლება არ ცდილობს გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები და ამის ნაცვლად იყენებს რესურსს, რომელიც, საერთაშორისო შეფასებით, არაგანახლებადია. სწორედ ამაზე საუბრობდა "მწვანეთა მოძრაობის"

თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე. როგორც მან თქვა, გაერო-ს ეკონომიკური კომისიის შეფასებით, კავკასიის სამ ქვეყანაში, - საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, - ეროვნული შეტყობინების შეჯამების შედეგად, მტკნარი წყლის რესურსს 2030-50 წლისთვის შემცირება ემუქრება. სწორედ ამიტომ ნინო ჩხობაძეს აფიქრებს ჰესების რენტაბელობის საკითხი:

"რა გვინდა ჩვენ, კამხლები დავიტოვოთ ცარიელი ბეტონებით, დანგრეული ხეობებით? თუ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ წყლის რესურსი შეიძლება მოგვაკლდეს და მაშინ აზრი არ აქვს არანაირ მშენებლობას. ნურავინ ნუ იტყვის და ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ წყლის რესურსი გვეყოფა ამდენი ელექტროსადგურისთვის."

საჯარო დისკუსიას ესწრებოდა სვანეთის სოფელ მექვენას მკვიდრი მაკა

სულამე. მისი სოფელი ერთ-ერთია იმ 27 სოფელს შორის, რომელიც ჰესების მშენებლობის შედეგად ნაწილობრივ ან სრულად დაიტბორება:

„აქ ადამიანები ცხოვრობენ, აქ მოსახლეობაა და ყოველ ადამიანს თავისი ტკივილი აქვს, ტკივილი, რომელსაც ვერანაირი მატერიალური ანაზღაურება ვერ შეუმსუბუქებს. აქ წინაპართა თუ ახლობელთა საფლავებია და ამათი მიტოვება და აყრა ასეთი იოლი არ არის, ბატონებო.“

თუ თითოეული ოჯახი იცხოვრებს ჰაერით, ელექტროენერჯის გარეშე, კი ბატონო, სახლში რომ მიბრძანდებით, ნუ აანთებთ შუქს ...

მარიამ ვალიშვილი

ხელისუფლებას ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს. გასული წლის 11 ნოემბერს ხუდონჰესის მშენებლობის გამო გამართულ საჯარო დისკუსიაზე ეს პოზიცია გამოხატა ენერჯეტიკისა და ზუნებრივი რესურსების მინისტრის პირველმა მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა. მამინ სასტუმრო "რედისონში" საჯარო განხილვა საკმაოდ ხმაურიანად წარიმართა:

„არავინ არსად არ იძირება. ერთი წუთით, რა... სვანეთზე გული თუ შეგტკიოდათ, სწორედ უშუქობისა და უბედურების პერიოდში განადგურდა იქ ყველაფერი. ეს არის რეალობა.“

„ახლა ხომ აღარ არის უშუქობა?“

მარიამ ვალიშვილი: „მართლა? და როგორ ფიქრობთ, მაგიური ჯოხით აღმოჩნდა ის, რომ დღეს სვანეთში 24-საათიანი შუქია? აქ ისეთი განცდაა, რომ არ უნდა აშენდეს ჰესი. ენერჯის მოთხოვნა იზრდება. თუ თითოეული ოჯახი იცხოვრებს ჰაერით, ელექტროენერჯის გარეშე, კი ბატონო, სახლში რომ მიბრძანდებით, ნუ აანთებთ შუქს.“

საჯარო დისკუსიაზე კი, რომლის დევიზიც იყო "არა - დიდი ჰესებს", გარემოსდამცველებმა თქვეს, რომ ისინი მცირე ჰესების წინააღმდეგი არ არიან, თუმცა ამ შემთხვევაშიც, უმთავრესად, ეროვნული ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული.

ბეჭდვა კომენტარი (4) გაუზიარეთ:

Tweet 0 რეკომენდებული 17 გაგზავნა 0 Pin it

ეს ფორუმი დაიხურა

კომენტარების რიგი დადმავალი რიგი

კომენტარები

ავტორი: გაბრო 09.03.2012 19:55

კი მარა არსად არაა ცივილიზებულ ქვეყნებშიო რო წერ, ვინ გითხრა, რომ საქართველო ცივილიზებული ქვეყანაა? ვართ უკულტურო და არაცივილიზებული ხალხი. ამას რომ გავაცნობიერებთ, მერე უფრო ადვილი იქნება ცხოვრება. თორემ ყველაზე განვითარებული ქვეყნების გვერდზე რომ წარმოგიდგენია თავი და ზოგჯერ მათაც ზემოდან დავყურებთ, ასეთი პოზიციიდან არაფერი არ გამოვა არასოდეს.

ავტორი: თანამემამულე საიდან ვეწერთ: უცხოეთიდან 09.03.2012 14:48

გმადლობ ანონიმი, სწორად ხედავ პრობლემას. არც ერთ ევროპის და სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში ასე არ აჩანაგებენ ბუნებრივ რესურსებსა და გარემოს, როგორც საქართველოში. საზოგადოებაა მოძალადე და ჩაგრავენ არა მარტო ერთმანეთს, ვნებენ ბუნებასაც. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მოკლევადიანი და

მაქსიმალურად პირადი მოგებისათვისა ყველაფერი გამოიხეობს. ნუ მეტყვით, შენ წასული ხარ და ჩვენი ლანძღვა კარგად გეხერხებაო. რას გვთვალავთ კონკრეტულად... გაუფრთხილდით ბუნებას, თითო უცხო ენა ყველამ იცის, ქართულადაც ბევრი რამ იშოვება. მოიძიეთ ინფო ინტერნეტში, ბიბლიოთეკებში, დაასაბუთეთ, რომ ქმედებები არასწორია და გრძელვადიანი (არა 10/15-20 წლის) პერსპექტივა არ აქვს იმ გეგმებს, რასაც სახავენ. საბჭოთა კავშირში ამათრახებდნენ გიგანტომანისა და კაშხლებს და ახლა რაღა დაგემართათ ხალხო! ნუთუ ისევ საბჭოთა კავშირში დავბრუნდით? შეიჯობეთ, ინტერნეტი დიდი ძალაა, დაბლოგეთ, ისაუბრეთ, გააპროტესტეთ. ნუ დანებდებით.

ავტორი: ანონიმი

12.02.2012 19:43

ფოტოებ, ეს ტენდენცია გიგანტოკაშხალომანის საშინელებაა. ყველაფერი კატასტროფით შეიძლება დასრულდეს. ვიმედოვნებ, რომ არ დასცალდებათ არა მხოლოდ ეს, სხვა არანაკლებ საზიანო პროექტების ბოლომდე მიყვანა და თავს ამით ვინუგეშებ, თორემ შეიძლება ადამიანმა გარეკოს, რადგან ჩვენს თვალწინ ჩვენი ქვეყანა იღუპება და რეალურად ვერაფერს ვაკეთებთ ხელის შესაშლელად. თუმცა ეს არ ნიშნავს, მომავალში უარი ვთქვათ მცირე ჰესიან ელექტრო სადგურების მშენებლობაზე. იმედი მაქვს ეს დროც მალე დადგება.

ავტორი: me var me საიდან გვწერთ: iqedan

11.02.2012 22:56

ანონიმმა დაწერა უკვე რამე? ა აარა? დაწერს ნიჩივო

სანამ ის დაწერს ამანმდე ვიტყვი რომ უპრინციპო ხელისუფლება გვეყავს და რატო იქცევინ ასე თითქოს ვიდაცის ვალი აქვთ და ეხლა საქართველოს აბარებენ ვალის ნაცვლად ხელშიო ვერ გავიგე

ანონიმი მოვიდა? ა არ დაუწერია ჯერ? ნიჩივო დაწერს რამეს კაცო

პროდუქტები და ფუნქციები პოდკასტი RSS მეილის გამოწერა

მობილური

მთავარი	კონტაქტი და დახმარება	ბმულები	სოციალური ქსელები
ახალი ამბები	დაგვიკავშირდით	RFE/RL	Del.icio.us
პოლიტიკა	ჩვენს შესახებ	ამერიკის ხმა	Digg
ეკონომიკა	ჩვენი პოლიტიკა	გაერო	Face book
საზოგადოება	ტექნიკური ინფორმაცია	ეუთო	Google Bookmarks
კულტურა	რადიოზე	ჰიუმან რაიტს უოჩი	Newsvine
ბლოგები	როგორ მოვისმინოთ	საერთაშორისო ამნისტია	Reddit
პრესა	საიტის რუკა	რეპორტიორები	StumbleUpon
TV	გადაცემების განრიგი	უსაზღვრებოდ	Twitter
რუბრიკები	რადიო თავისუფლების მედიასკოლა	forum.ge	

რადიო "თავისუფლება" RFE/RL, Inc. ყველა უფლება დაცულია